




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განაკარგულება №111

2013 წლის 23 ივლისი
ქალაქი ხაშური

„მდინარე სურამულას ნაპირების დამცავი კედლების რეაბილიტაცია ავარიულ მონაკვეთებზე“
სამუშაოების შესყიდვის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელის სამსონ ხითარიშვილის 2013 წლის 23 ივლისის მოხსენებითი ბარათის შესაბამისად:

1. თანხმობა მიეცეს მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს „მდინარე სურამულას ნაპირების დამცავი კედლების რეაბილიტაცია ავარიულ მონაკვეთებზე“ სამუშაოების შესყიდვა, რომლის ღირებულება 749 999.53 (შვიდასორმოცდაცხრაათას ცხრაასოთხმოდცხრამეტი ლარი და 53 თეთრი) ლარი, აღემატება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის 5%-ს;
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განაკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად;
3. განაკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
4. ეს განაკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე

